



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1000/ს



30/06/2020

1000-11-4-202006301433

მოვლითი (სანიტარული) ჭრის შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი I, II, III და IV ხარისხის მუხის ჯიშის - 20,96 მ³ საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (311) განმეორებით (7) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 20 მაისის N5002576920 დასკვნის, ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანების და სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2020 წლის 7 თებერვლის N1667-01 სამსახურებრივი ბარათის და 2020 წლის 19 თებერვლის N2372/11; 2020 წლის 13 მაისის N6248/11 და 2020 წლის 22 მაისის N6715/11, 2020 წლის 04 ივნისის N7513/11, 2020 წლის 18 ივნისის N8492/11 , 29 ივნისის N9368/11 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N311 კახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ახმეტის სატყეო უბნის, მადრაანის სატყეო N15 კვარტალში მოვლითი (სანიტარული) ჭრის შედეგად მოპოვებული 20,96 მ³ მუხის ჯიშის I, II, III და IV ხარისხის მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.
2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები და აუქციონის ლოტები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს, სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი